ახალი

ჯანთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2017 წელი 30 იანვარი № 1 № 8118

ჯანთიადი

85 წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

“ეფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ კი განგვიცხადა, რომ ცოდ-ვად ითვლება არა მარტო არასწორი საქციელი, არამედ მოცვასის მიმა-რთ სიყვარულისა და კეთილგანწყობის არქონა”

გვ4.

შეხვედრა კასპის გამგეობაში

გვ2.

გიორგი საკაძის პირველნეშაზე

გვ5.

კასპი-კავთისხევის საავტომობილო გზის სახიდე გადასასვლელის რეაბილ-იტაცია

გვ2.

შეხვედრის ძირითადი თემა: “ნაადრევი ქორწინება”

გვ6.

ეროვნული ფედ-ერაციის ეგიდით

გვ7.

სტუმრად მრავალშვილიან ოჯახებში

გვ7.

ვინ იღებს ყველაზე მეტ მილოცვას?!

გვ9.

ფიქრი ძველქართულ ტრადიციებზე

გვ3.

საახალწლო ზეიმი კულტურის ცენტრში

გვ3.

რიტლიან მკერდიერთძე 85 წლისა

გვ6.

”კასპელების რძალი”

გვ9.

რამპატერიალური სამყარო არსებობს?!

გვ4.

ნაცნობლებლევს, რიცა ...

გვ3.

ინტერლიტერატურული ვრილეტი “ჩვენი მეითხვერი”

გვ5.

ჩვენი შესანიშნავი ტოპოცეული

გვ7.

შეხვედრა კასპის გამგეობაში

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში შპს "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანაში ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოების ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ დეტალური ინფორმაცია შპს "ჰაიდელბერგცემენტკაუკასუსის" გარემოს დაცვის მენეჯერმა ზაზა ჯიჯეიშვილმა წარმოადგინა.

აღნიშნული პროექტის განხორციელებაში 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება, რომელიც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის. ასევე ინფრასტრუქტურის ობიექტები: გზა, ხიდები აშენდება, რომლითაც ისარგებლებს მოსახლეობაც. განხილვისას პროექტთან მიმართებაში დაისვა შეკითხვები, რომელსაც პასუხი გასცა ზაზა ჯიჯეიშვილმა.

პროექტი 2 წლის ვადაში უნდა განხორციელდეს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტში კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კასპის მოსახლეობა.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ზაზა ჯიჯეიშვილსა და შეხვედრის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა საქმიანი შეხვედრის საინტერესო წარმართვისათვის.

კასპი-კავთისხევის საავტომობილო გზის სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია

საავტომობილო გზების დეპარტამენტი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კასპი-კავთისხევის საავტომობილო გზის მე-5 კილომეტრზე, მდინარე მტკვარზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაციას ახორციელებს.

თაღოვანი ხიდი გასული საუკუნის 40-იან წლებშია აგებული და



თითქმის 90 წელია მისი სრული რეაბილიტაცია არ მომხდარა.

ხიდზე ძალიან დაზიანებულია შუალედური ბურჯები, თაღები და ბეტონის ზედაპირები, რაც საფრთხეს უქმნიდა ხიდზე მოძრაობის უსაფრთხოებას და ავტოტრანსპორტით მძიმე ტვირთების გადატანას.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია: ხიდის ბურჯების გაძლიერება, მალის ნაშენისა და სარეგულაციო კედლების შეკეთება; სავალი ნაწილისა და ხიდთან მისასვლელი გზების მოწესრიგება. ასევე განხორციელდება საგზაო ნიშნების მოწყობის, ხიდის სავალი ნაწილის მონიშვნის, შემოფარგვლისა და გადასასვლელი ფილების მოწყობის სამუშაოები.

ჩატარებული სამუშაოები, კასპი-კავთისხევის გზაზე მოძრავ ტრანსპორტს საშუალებას მისცემს უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილდნენ განახლებულ ხიდზე.

ამ ეტაპზე, გაბიონის საყრდენი კედლის მოწყობის, შუალედური ბურჯებისა და მალის ნაშენის შეკეთების სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი 2016 წლის ნოემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება.

სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 1 110 687 ლარია. სამუშაოებზე 25 ადამიანია დასაქმებული.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.



სტუმრად მრავალშვილიან ოჯახებში

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი და მისი მოადგილე ჯამბოლატ ქამხაძე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე მრავალშვილიან ოჯახებს ესტუმრნენ და ძველით ახალი წელი მიულოცეს.



საახალწლო ზეიმი კულტურის ცენტრში

კასპელმა პატარებმა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა ახალი წლის დღეები კულტურის ცენტრში საინტერესოდ და სასიამოვნოდ გაატარეს.

პატარებს მასპინძლობდნენ ზღაპრის გმირები, მათთან ერთად კი თავადაც მონაწილეობდნენ წარმოდგენებში, ღონისძიებაში.

თოვლის პაპამ ყველა ბავშვი საახალწლო ნობათით დაასაჩუქრა.

საახალწლო ნაძვისხისღონისძიება, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და გამგეობის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების მიერ განხორციელდა.

ახალი ტექნიკა

კასპის მუნიციპალიტეტს მალე ორი ახალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი ავტომანქანა მოემსახურება, რომელიც, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ წაადგება მუნიციპალიტეტის დასუფთავების ხარისხს.

უკვე მიღებულია ერთი ტექნიკა. აღნიშნული ნაგავმზიდები კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერით მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით შეისყიდა.

გამოიწერეთ "ახალი გზნიერლი"
გახლით ჩვენი მკითხველი!

ფიქრი ძველქართულ ტრადიციებზე

ნაახალწლევს, როცა ...

ნაახალწლევს როცა, ნაძვისხეებთან და გასართობ ცენტრებში ბავშვების ჟრიამულს შეესწრები შეიძლება გაგიელვოს ფიქრმა - რა თამაშობებით ერთობოდნენ ქართველი ბავშვები საუკუნეების წინ. შენ წარმოიდგინე, მათ უამრავი თამაში ჰქონდათ, თანაც, ამ თამაშებისთვის თავად აკეთებდნენ საჭირო საგნებს. თუნდაც, უძველესი თამაშისთვის, ბურთაობისთვის როცა ემზადებოდნენ, ბავშვები თვითონ კერავდნენ ბურთს სხვადასხვა შინაური ცხოველის ტყავისგან, ხისგან თლიდნენ ტაფა-რიკს. ყველა ბიჭს უყვარს ომობანას თამაში. ახლა ბავშვებს ბევრი სათამაშო თოფი აქვთ და კიდევ, ხმლები, რომლებიც ძალიან ჰგავს ნამდვილს. სათამაშოების მაღაზიებში მეკობრეების აღჭურვილობებიც იყიდება და ტანსაცმელიც. საუკუნეების წინ პატარა ბიჭუნები მდელოში ისხდნენ და გულმოდგინედ თლიდნენ სხვადასხვა საბრძოლო იარაღს ხისგან. ისინი მშვილდ-ისრებსაც კი აკეთებდნენ, შემდეგ კი თავდავიწყებით თამაშობდნენ. რაც მთავარია, რადგან ეს სათამაშოები თავიანთივე გაკეთებული იყო, ძალიან, ძალიან უფრთხილდებოდნენ და ნამდვილი იარაღებივით უვლიდნენ. ზოგიერთი თამაშისთვის ქართველ პატარებს იარაღები არ სჭირდებოდათ.

აკაკი წერეთელზე თუ გაქვს წაკითხული, აუცილებლად გემახსოვრება თამაში 'ქორობია". ეს იგივე ქორობანაა და ძალიან ჰგავს იმ ამბებს, რომელიც სოფელში ყოველდღე ხდება. ქორი იტაცებს წიწილას და კრუხი ცდილობს თავისი შვილების დაცვას. აქ ბავშვები სხვადასხვა ჯგუფად იყოფიან. ყველაზე ძლიერი და უფროსი ბავშვი ვითომ კრუხია, პატარა ბავშვები წიწილების როლებს თამაშობენ, თუ კრუხი კარგად იბრძოლებს, გადარჩენილ წიწილას წრეში აბრუნებს, შემდეგ კი ქორი ისევ შეტევაზე გადმოდის. აკაკი წერეთელს ეს თამაში არ უყვარდა და ხშირად უტირია კიდევაც, რატომ იტაცებს ქორი წიწილებსო. თუმცა, იმ სოფელში, სადაც იგი იზრდებოდა, ხშირად თამაშობდნენ 'ქორობიას".

კიდევ ერთი თამაში, რომელიც ბავშვებს ძალიან უყვარდათ, ლახტაობაა. ლახტი ქამარს ნიშნავს. ახალგაზრდა მოთამაშეები ქამრებს იძრობენ და ორ ჯგუფად იყოფიან. ერთ ჯგუფში თავდამსხმელები არიან, მეორეში კი – დამცველები. ამ თამაშისთვის ცარცი ან ნახშირია საჭირო, იმიტომ, რომ აუცილებლად უნდა შემოხაზო წრე, რომელშიც დამცველები ჩადგებიან. ყველა დამცველი ფეხებს შუა იწყობს ლახტს, რომლის ერთი ბოლოც წრის ხაზზეა. თავდამსხმელები კი ცდილობენ სხვადასხვა ხერხით და ეშმაკობით ამ ლახტების მოტაცებას. როცა თავდამსხმელები ყველა ლახტს მოიტაცებენ, ისინი მოწინააღმდეგეებს ფეხებში ურტყამენ ქამრებს, დამცველები კი წრიდან გამოუსვლელად ცდილობენ ფეხი ფეხში მოარტყან თავდამსხმელებს. საერთო ჯამში, ეს ძალიან სახალისოა და ბიჭებს ძალიან უყვარდათ ლახტაობა. ამ თამაშში გამოჩნდებოდა ხოლმე მათი მოსაზრებულობა და ვაჟკაცობა. გაზეთის შემდეგ ნომრებში აუცილებლად მოგვიყევით თქვენ რომელი ძველქართული თამაშები იცით ან გახსოვთ.

კასპი 2016 წლის 31 დეკემბერი

ფეხბედნიერი და ხვავიანი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსთვის ახალი, 2017 წელი!

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II:

"უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ კი განგვიცხადა, რომ ცოდვად ითვლება არა მარტო არასწორი საქციელი, არამედ მოყვასის მიმართ სიყვარულისა და კეთილგანწყობის არქონა"

ამონარიდი საშობაო ეპისტოლედან

"ახალი ადამის შობით კაცობრიობა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ორ ნაწილად გაიყო და დაიწყო სრულიად ახალი ერა.

თუ პირველმა ადამმა და მისმა მოდგმამ ჩადენილი ცოდვის გამო, დიდი სინანულის მიუხედავად, ვერ შეძლო დანაშაულის გამოსყიდვა, ახალი ადამის განხორციელების შედეგად, მრავალჯერადი შეცოდების შემთხვევაშიც, ქრისტიანს, ვიდრე ხორციელ აღსასრულამდე, ჭეშმარიტი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით ყოველთვის შეუძლია ნათლობით მიღებულ მადლთან და სულიერ მდგომარეობასთან დაბრუნება.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ნათლობა არის მხოლოდ დასაწყისი ჩვენი განღმრთობისა. შემდგომი წინსვლა კი ჩვენი პირადი ღვაწლითა და ეკლესიური ცხოვრებით უნდა განხორციელდეს."

"ნათლობით მიღებული მადლი არის უდიდესი საბოძვარი, რომელსაც სრულად ვერც ვაცნობიერებთ. ეს განსაკუთრებით ითქმის ძველი ადამიდან ახალი ადამის წიაღში მოქცეულებზე, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ რწმენის გზაზე და მათზეც, რომელნიც დიდი ხნის წინ მოინათლნენ, მაგრამ ცოდვის მრავალგვარობას ხშირად ვერ აცნობიერებენ, რამეთუ მხოლოდ პირადი შეხედულებებითა და ამქვეყნიური კანონებით განსჯიან. აუცილებელი კი არის წმიდა წერილში გაცხადებული მცნებებისა და სწავლებების გათავისება, რათა სულიერი თვალი აგვეხილოს და ავის და კარგის, ცოდვის და მადლის გარჩევა ვისწავლოთ."

"საღვთო ზნეობა იმდენად მაღალია, რომ მას თვით ყველაზე დახვეწილი და რაციონალური სახელმწიფო კანონებიც კი ვერ შეედრება.

სახელმწიფო კანონით დანაშაულად არ მიიჩნევა, მაგალითად, პატივმოყვარეობა, დიდებისმოყვარება, განკითხვა, მრისხანება, შური, ამპარტავნება, ეგოიზმი, შიში, მტრობა, სიძულვილი ... ვიდრე მათი გამოვლინებები სერიოზულად არ დააზარალებს სხვას.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ კი განგვიცხადა, რომ ცოდვად ითვლება არა მარტო არასწორი საქციელი, არამედ მოყვასის მიმართ სიყვარულისა და კეთილგანწყობის არქონა, უკეთური ფიქრიც და ბოროტი გულისთქმაც და მოგვიწოდა, რომ ნებისმიერი ცოდვა დასაწყისშივე, ანუ გონებასა და გულში გაჩენისთანავე, აღმოვფხვრათ, რათა იგი ქმედებად არ იქცეს და მისგან თავის დაღწევა არ გაგვიძნელდეს. როგორც საღვთო, ისე სახელმწიფო კანონები, რა თქმა უნდა, ზრუნავს ადამიანზე, მაგრამ მათში განსხვავებულობას წარმოშობს პიროვნების აღქმა და მასთან დაკავშირებული ხედვის პერსპექტივები.

ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ქვეყნებზე, სადაც ზოგიერთი სახელმწიფო კანონი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს და მცდელობები აქვთ, ცოდვა ოფიციალურად ნებადართული გახადონ.

პარალელურად ხდება ისიც, რომ ტელევიზია, მასმედია, სოციალური ქსელები ამა თუ იმ უწესობას ხშირად მიმზიდველად და საინტერესოდ გვისახავენ და ხელს უწყობენ მათ პროპაგანდას.



სამოთხეში დაწყებული ისტორია ცოდვის კეთილად წარმოჩენისა და შეთავაზებისა, გრძელდება; აკრძალული ნაყოფი ადამიანს კვლავაც მიმზიდველად ეჩვენება, ისევე, როგორც სამოთხეში: „იყო საჭმელად ის ხე თვალწარმტაცი და საამური სანახავად (დაბ. 3,6).

რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ მაშინ, როდესაც ამდენი ხანია ქრისტე ჩვენს განსაკურნებლად მოვიდა, დღესაც მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ურწმუნოების ცოდვაშია; ეს გასაკვირი არც არის, რადგან ჭეშმარიტ სარწმუნოებას ყოველ დროში მხოლოდ ჭეშმარიტი ღვთის ნების აღმსრულებელი ადამიანები ინარჩუნებდნენ.

რჩეული სამწყსო არის პიროვნულ მაღალ ღირებულებათა მაღიარებელი კრებული, იმ პირთა ერთობა, რომელთათვისაც ღმერთი მარტო ძალა კი არ არის, რომელიც ძველ აღთქმაში ზოგჯერ ცეცხლის, გრიგალის, ღრუბლის, მგრგვინავი ხმის სახით... ეცხადებოდა, არამედ ბეთლემს შობილი ემანუელი (რაც ნიშნავს: „ჩვენთან არს ღმერთი), მეორე პირი ყოვლადწმინდა სამებისა, რომელმაც წინ სწორედ პიროვნული ღირსებები წამოსწია, დაგვანახა რა, რომ ნებისმიერი ჩვენგანი უნიკალურია, განუმეორებელია, ხატია უფლისა და სული წმინდის მადლით ღვთის მადლისმიერი ძეობის აღდგენა ძალუძს.

პიროვნება ასეთ სიმაღლეზე არასოდეს არავის აუყვანია!

მაცხოვარმა ჩვენმა ყველა ადამიანური ტკივილი, თვით ჯვარცმით სიკვდილიც, კაცობრივი ბუნებით ჭეშმარიტად განიცადა, რათა, მწუხარებაში მყოფ ნებისმიერ ჩვენგანს, ჰყავდეს მისი სალმობის თანამოზიარე უფალი, რომელიც ღვთაებრივი სიყვარულითა და სიხარულით აღავსებს ყველას.

"მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი განსაცდელისა და ათასგვარი ჭირ-ვარამისა, უფლის შეწევნითა და ღვთისმშობლის მეოხებით საქართველო კვლავაც ქრისტეს გზას ერთგულად მისდევს და შობის მახარობელია.

"რა თქმა უნდა, მე ვიცი, როგორ უჭირს ჩვენს ხალხს, რამდენი განსაცდელითა და ტკივილითაა სავსე ეს წუთისოფელი, მაგრამ მწამს ისიც, რომ მიუხედავად მრავალი სიმძიმისა და დაბრკოლებისა, ჩვენი ერი ღირსეულად გაივლის გოლგოთის გზას და უფალთან ერთად აღდგება და გაიხარებს."

არამატერიალური სამყარო არსებობს?!

როგორც ამბობენ, არამატერიალური, უხილავი სულიერი სამყარო ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მატერიალური და მასში ფიზიკის კანონები აღარ მოქმედებენ. ამიტომაც, იქნებ მეცნიერებს საკუთარი უძლურება აშინებთ? მათი მხრიდან უხილავის არსებობის აღიარება ხომ თავდაყირა დააყენებს არა მარტო ბევრ ტრადიციულ სამეცნიერო შეხედულებას, არამედ ადამიანთა უდიდესი ნაწილის ჩვეულ ცხოვრებასაც.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს ჩვენთვის, არამატერიალური სამყაროს არსებობას მათემატიკურად ადასტურებს ისეთი პროზაული მეცნიერება, როგორიცაა კვანტური მექანიკა. იგი ამქვეყნად ყველაზე უმცირეს ნაწილაკებს შეისწავლის. ნეიტრონების, პოზიტრონების და სხვათა იქით მატერიალური სამყარო უკვე, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. "რჩება მხოლოდ მათი ტალღური შემადგენლობა, — ამბობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოსფეროს ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელი-შიპუნოვი,— გამოდის, რომ მთელი სამყარო შედგება რაღაც სუბსტანციისგან, რომელსაც მატერიალურს ვერ ვუწოდებთ. ესაა სულიერი სუბსტანცია, რომელსაც ტალღური ბუნება აქვს. სწორედ იგი აშენებს მთელ ფიზიკურ სამყაროს. მის გარეშე ყველაფერი ჩვენს გარშემო უსიცოცხლო იქნებოდა.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ყოველი სხეული ბუნებაში მარტო ფიზიკური სახით კი არ არსებობს, არამედ ტალღურითაც. ეს ადამიანსაც ეხება. ის, რასაც რელიგია სულს უწოდებს, მათემატიკურ ენაზე სწორედ ადამიანის ტალღური ორეულია".

ცდებმა აჩვენეს, რომ არა მარტო ადამიანი, არამედ მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვაც ტალღური ენერგიაა. ამ ენერგიას შეუძლია ელვისებური სისწრაფით გავრცელდეს სამყაროს ნებისმიერ წერტილამდე და იქ სამუდამოდ აღიბეჭდოს. ასე რომ, ჩვენგან წარმოთქმული ყოველი სიტყვა და ყოველი მოქმედება, სამყაროს თითეულ წერტილში სამუდამოდ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ არსებობს რაღაც უმაღლესი ძალა, რომელსაც სწორედ ამ ტალღური ბუნების წყალობით შეუძლია მთელი სამყარო ერთ წამში და, ამასთან, ერთდროულად დაინახოს.

"ტალღური სამყარო ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ფიზიკური, — მიაჩნია შიპუნოვს,— მისი არსებობა კარგა ხანია მათემატიკური განტოლებებით დაადასტურა გერმანელმა მეცნიერმა შრედინგერმა, მაგრამ ე.წ. "სამეცნიერო გესტაპო" მათი გამოქვეყნების საშუალებას არ იძლევა. ეს თავის დროზე ვერ შეძლეს ისეთმა ავტორიტეტებმა, როგორებიც კაპიცა და სემიონოვი იყვნენ. ამ "გესტაპოს" "წყალობით" კვანტური მექანიკის უახლესი ფორმულები სახელმძღვანელოებში არ არის შეტანილი. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ "მოდაშია" აინშტაინის ფარდობითობის თეორია, რომელიც მცდარია. ეს თავის წიგნში დაადასტურა ისეთმა ავტორიტეტულმა მეცნიერმა, როგორიცაა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლოგუნოვი. ამ მეცნიერთა შეხედულებით, აინშტაინის ფორმულა სიცრუეა, იმიტომ, რომ მას სულიერი (!) ტალღური კოეფიციენტი აკლია".

კვანტური მექანიკის მეცნიერებმა შექმნეს სპეციალური თხევადკრისტალური მრიცხველები, რომელთა საშუალებით მათ შეუძლიათ აღბეჭდონ ნებისმიერი ფიზიკური საგნის ტალღური არსი. ეს არსი თვითონ ამ საგანზე ბევრად უფრო რთულადაა ორგანიზებული. მეტიც — საგანს სწორედ ეს ტალღური ფუნქცია "აშენებს" და ამიტომაც იგი მას ემორჩილება. "ხელსაწყოებმა დააფიქსირეს, რომ ზოგი ტალღური არსი თავისი ბუნებით დადებითია ("მშენებლები" სწორედ ისინი არიან), ზოგიც — უარყოფითი. მათ დამანგრეველი ბუნება აქვთ (ეკლესია მათ დემონურ ძალებს უწოდებს".

*დასასრული გვ-8.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

ლექცია-საუბარი

გიორგი სააკაძის პიროვნებაზე

გასული წლის დეკემბრის ბოლოს გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ღონისძიება, რომლის ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი"...

მუზეუმში მიწვეული იყვნენ კულტურისა და განათლების მუშაკები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მუზეუმის საგამოფენო გალერეაში შეკრებილ საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. ლექცია-საუბარმა, რომელიც თითქმის 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა დიდი ინტერესი გამოიწვია... საქმე ის გახლავთ, რომ ღონისძიებაზე განხილული ორივე თემა სისხლხორცეულად უკავშირდება ჩვენი რაიონის კულტურული ცხოვრების ისტორიას. კერძოდ, გენიალური ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაზე ამომწურავად ისაუბრა მხატვარმა იორამ იმედაშვილმა, ხოლო მეორე თემა, მწერალ გიორგი ხორგუაშვილის მოგონება – "გიორგი სააკაძის ძეგლის გახსნის ისტორია კასპში" მსმენელებს გააცნო მუზეუმის ექსკურსიამძღოლმა ნელი ონეზაშვილმა.

სხვათა შორის, მთელ ღონისძიებას, ლექცია-საუბარს თან ახლდა ფოტო-სლაიდების ჩვენებაც და ეს საინტერესო ვიდეო-მასალა, სადაც ასახულია სააკაძის ძეგლის გახსნის ისტორია მოამზადა მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა ხატია ხორგუაშვილმა.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, ლექციამ, განხილულმა თემებმა ბევრი რამ გაახსენა დამსწრე საზოგადოებას, თვითმხილველების ნაამბობი რაიონის გასული წლების კულტურული ცხოვრების შესახებ, საინტერესო და ყურადსაღები იყო სკოლის მოსწავლეებისათვისაც და არა მხოლოდ მათთვის.

ლექციის ბოლოს სიტყვებით გამოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტი დალი კოტიაშვილი და ქალაქის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი, რომლებმაც გამოთქვეს თავიანთი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ კარგი იქნება, თუ ანალოგიური დატვირთვის მქონე ლექცია-საუბრები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს, საჭიროა აგრეთვე, ხშირად მოეწყოს გასვლითი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კულტურული ცხოვრების ისტორიის გახსენებას, ხელოვნების ისტორიისა და სამშობლოს სიყვარულზე შექმნილ თემების განხილვას...

ღონისძიება დასრულდა კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის (პედაგოგი ნანა მერებაშვილი) მოსწავლის ანზორ დალაქიშვილის გამოსვლით, რომელმაც მხატვრულად წაიკითხა ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსი " გიორგი სააკაძის სურათზე".

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

ინტელექტუალური პროექტი "ჩვენი მკითხველი"

გასული წლის 23 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების ორგანიზებითა და ძალისხმევით საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საქართველოს საბიბლიოთეკო გაერთიანებების ჩემპიონატი სასკოლო ასაკის ნინველებს (მოზარდებს) შორის ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?", რომელშიც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინტელექტუალები. ერთი სიტყვით, ამჯერად ერთმანეთს დაუპირისპირდა მუნიციპალიტეტის 8 საჯარო სკოლა, მათ შორის იყვნენ ქალაქის პირველი, მეორე, დოესის, სასირეთის, ქვემო გომის, ზემო ხანდაკის, ახალქალაქის და ქვემო ჭალის საჯარო სკოლების მოსწავლეები...

– ალბათ ბევრისათვის ცნობილია, რომ ქვეყნის მასშტაბით წარმატებით ხორციელდება პროექტი "ჩვენი მკითხველი", რომლის ეგიდითაც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ტარდება ინტელექტუალური თამაშები და მისი ორგანიზატორი გახლავთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ხოლო მხარდამჭერია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, – განაცხადა გაზეთ "ახალ განთიადთან" საუბრისას მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების ღონისძიებების ორგანიზატორმა ლია მენაბდიშვილმა, – გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კასპის ბიბლიოთეკების გაერთიანებამ ამ მნიშვნელოვანი პროექტის პირველი ეტაპი წარმატებით განახორციელა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტელექტუალურ ჩემპიონატში სულ მონაწილეობდა რვა საჯარო სკოლა და ამდენად, დადგენილი წესების შესაბამისად უნდა გამოვლენილიყო სამი გამარჯვებული ინტელექტუალური გუნდი და რასაკვირველია, ეს ასეც მოხდა.

ასპარეზობაში გაიმარჯვეს კასპის პირველ, მეორე და დოესის საჯარო სკოლების ინტელექტუალებმა, თუმცა, ღონისძიების მიმდინარეობისას ნათლად გამოიკვეთა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი, თამაშში მონაწილე ყველა სკოლა საზოგადოების წინაშე წარდგა მომზადებული, ორგანიზებული და მოტივირებული...

და მაინც, ალბათ ყველაზე საინტერესოა პირველ ადგილზე გასული ინტელექტუალური გუნდის ვინაობა, დიახ, ეს გახლავთ ქალაქის №1 საჯარო სკოლის ინტელექტუალური ჯგუფი სახელწოდებით "ოლიმპო", რომლის წევრები არიან მარიამ აბულაძე, გურამ ბერიანიძე, დავით სტეფნაძე, ანი ბერიძე, ნიკა ალური გუნდი "ნიკე", რომლის წევრები არიან ნანა ბეგლარაშვილი, მზია თაბუაშვილი, ნუკრი ტურაშვილი, ბილო თაბუაშვილი, სოლომონ შაქარაშვილი და გიორგი ხეჩუაშვილი. გუნდის სათადარიგო შემადგენლობა: დავით ხეჩიკაშვილი, ანა გერმისაშვილი.

ინტელექტუალთა თამაში წარიმართა საინტერესოდ, ხალისიანად, ემოციებს გამოხატავდნენ

ნადირაშვილი და ლალი ოსიეთიშვილი, გუნდის სათადარიგო შემადგენლობა: მიხეილ ელკანოვი და სოფიო პავლიაშვილი.

მეორე ადგილი წილად ხვდა კასპის №2 საჯარო სკოლას, ინტელექტუალური გუნდის სახელწოდება გახლავთ "ფენიქსი", რომლის წევრები არიან ოთარ მამაცაშვილი, გიორგი ქესური, რევაზ გიორგაძე, ხატია ჯალალი, ხატია ბალხამიშვილი და დავით გიგილაშვილი, სათადარიგო შემადგენლობა: გიორგი მახარაძე და მარიამ ტყემალაძე.

მესამე ადგილზე გავიდა დოესის საჯარო სკოლის ინტელექტუალური გუნდი "ნიკე", არჯვებული გუნდების დაჯილდოება; კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა გამარჯვებულის ჯილდო გადასცა პირველ ადგილზე გასულ "ოლიმპოს", კასპის პირველი საჯარო სკოლის გუნდს, ჩემპიონებს პროფკავშირების სახელით ჯილდო გადასცა აგრეთვე გიული სოზიაშვილმაც. ხოლო მეორე-მესამე ადგილის მფლობელებს: მეორე ბავშვები, მათი მშობლები, მასწავლებლები... კმაყოფილება გამოთქვეს საექსპერტო ჯგუფის წევრებმა, რომელთა შორის იყვნენ: პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი, ფილოლოგები მარინა მენაბდიშვილი და მალინა ტყემალაძე, ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, შეხვედრა მიჰყავდა ლია მენაბდიშვილს, რომელსაც ასისტენტობდნენ: ლია სოზიაშვილი, ეკა კუსრაშვილი, რუსუდან აბუაშვილი, მერი ბარჯაძე.

ჩემპიონატის კულმინაცია გახლდათ გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება; კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა გამარჯვებულის ჯილდო გადასცა პირველ ადგილზე გასულ "ოლიმპოს", კასპის პირველი საჯარო სკოლის გუნდს, ჩემპიონებს პროფკავშირების სახელით ჯილდო გადასცა აგრეთვე გიული სოზიაშვილმაც. ხოლო მეორე-მესამე ადგილის მფლობელებს: მეორე სკოლელებსა და დოესის საჯარო სკოლის ინტელექტუალებს ჯილდო გადასცა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ. ბოლოს, დამსწრე საზოგადოებასა და მოწვეულ სტუმრებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გულთბილად მიესალმა და თამაშის ყველა მონაწილეს სამახსოვრო სიგელები გადასცა ბიბლიოთეკის მთავარმა მასპინძელმა თეა ბარნაბიშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

ბოლოდროინდელი 85 წლისაა

31 დეკემბერს ცისანა ქასოშვილი, ნინო პავლიაშვილი, მარინა რუსიშვილი და თქვენი მონამორჩილი ქეთევან მონასელიძე წავედით კასპის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახალხო-ქორეოგრაფიულ ანსამბლ "საზანდარი"-ს ყოფილ ხელმძღვანელთან, ღირსების ორდენის კავალერთან, ჩვენს საყვარელ ქორეოგრაფთან და უკეთილშობილეს ადამიანთან, მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში დაბადების დღის მისალოცად ქალბატონ რუსუდან მჭედელაძესთან. ჩვენი შეხვედრა, როგორც ყოველთვის სიხარულის ცრემლიანი იყო.

ქალბატონი რუსუდანი ლოგინში მწოლიარე დაგვიხვდა, მხედველობაც ღალატობდა, ხმით გვიცნო ყველა, სიხარულით გაიხსენა ერთად გატარებული დრო.

ქალბატონ რუსუდანს საწოლთან კედელზე, საქართველოს ფოლკლორის ცენტრის ყოფილი დირექტორის ცისანა ქოჩეჩიშვილის სახსოვარი საჩუქარი ეკიდა – ქართულ კაბაში ჩაცმული მოცეკვავე დაირით ხელში. კასპს ახსოვს როგორი ზეიმით ჩატარდა რუსუდანის 70 და 80 წლების იუბილეები, მას სურვილი აქვს 90 წლის იუბილის აღნიშვნისაც. დავალება მივიღე, პროგრამა ჩამაწერინა: მარინა რუსიშვილი ქართულს იცეკვებს თავის ვაჟთან ერთად, ცისანა ქასოშვილი დაირით მოგვევლინება სცენაზე, ეთერ მონასელიძე "ჯეირანით" წარდგება მაყურებლის წინაშე, ნინო პავლიაშვილი დარგინულს ან ლაკურს შესთავაზებს მაყურებელს...

ვისაუბრეთ ყველაფერზე, როგორ აცმევდა და ხატავდა "საზანდარის" მოცეკვავეებს, როგორ ქარგავდა კაბის გულისპირებსს და ქამრებს ბრჭყვიალა მძივებით, როგორ კერავდა მანდილებს და აჭარულის ქუდებს, როგორ სათუთად ეკიდა თავის კაბინეტში ცელოფანებში ქართული სამოსი, ულამაზესი ქართული კაბები და ჩოხები.

გავიხსენეთ მოსკოვში, პიატიგორსკში, ლენინგრადში, 3-ჯერ ერევანში გასტროლები.

გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები, ნელნელა ახლოვდებოდა ჩვენი წამოსვლის დრო. გული სწყდებოდა იუბილარსაც და ჩვენც. მანქანაში დადუმებულები ვისხედით, არავის ხმა არ ამოუღია, მაგრამ ვფიქრობდით რა დიდი ამაგი დასდო ქართულ ქორეოგრაფიას 35 წლის მანძილზე ამაგდარმა და ღვაწლმოსილმა ქალბატონმა რუსუდან მჭედელაძემ. არც იყო გასაკვირი, ის ხომ დიდი ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის მოსწავლე იყო.

ქალბატონი რუსუდანი რაც კასპელების რძალი გახდა შექმნა ანსამბლი "საზანდარი" და ზრუნვას არ აკლებდა. კასპელები დღესაც ნინო რამიშვილს ეძახიან.

დიახ, მას დღესაც უთენდება და უღამდება ქორეოგრაფიაზე ფიქრით. საიდუმლოდ გაგვანდო, თურმე ახალ ცეკვებსაც დგამს...

დაე, ღმერთმა ინებოს მისი 90 წლის იუბილე.

დასასრულს მინდა ქალბატონ რუსუდან მჭედელაძის მობილური ტელეფონი შემოგთავაზოთ: 551 54 42 57, დაურეკეთ და გაამხნევეთ, მას ხომ თქვენზე დიდი ამაგი აქვს!

ცეკვის აკადემია "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე.

სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში

შეხვედრის ძირითადი თემა: "ნაადრევი ქორწინება"

ტერმინი – "ადრეული ქორწინება" აღწერს ორ ადამიანს შორის იურიდიული ქორწინების ან ჩვეულებითი კავშირის შემთხვევებს, როცა ერთი ან ორივე მეუღლის ასაკი 18 წელზე ნაკლებია. ადრეულ ქორწინებას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც "ბავშვთა ქორწინებას" ან "იძულებით ქორწინებას". ადრეული ქორწინება მიჩნეულია ზოგადად ადამიანის და კერძოდ- ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ბავშვებს, თავისი ასაკიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ მისცენ ქორწინებაზე თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა. ადრეული ქორწინების პრობლემა საკმაოდ აქტუალურია საქართველოში და სხვა ფაქტორებთან ერთად გენდერულ, რელიგიურ, ეთნიკურ თუ რეგიონალურ ფაქტორებს უკავშირდება...

ადრეულ ასაკში ქორწინება არ გულისხმობს მხოლოდ კერძო პირებს შორის არსებულ ურთიერთობას, არამედ საკითხი პრობლემის გლობალურ მასშტაბზე მიუთითებს. ადრეული ქორწინება განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს გოგონებსა და ბიჭებზე, ამიტომ შესაძლებელია მისი გენდერული თვალსაზრისით განხილვაც, გარდა ამისა, ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონები ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ზეწოლის გაზრდილი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, ამავე დროს, ადრეული ქორწინების შემთხვევაში როგორც ბიჭები, ასევე გოგონები ხშირად იძულებულები არიან შეწყვიტონ განათლების მიღება სკოლაში, დაიწყონ მუშაობა ან დაკავდნენ საოჯახო საქმეებით. ამრიგად, ადრეული ქორწინება არის სოციალური ინტეგრაციის შემაფერხებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა.

აი, სწორედ აქ ჩამოთვლილი პრობლემები, ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული კიდევ სხვა თემები განიხილეს სულ ახლახან კასპის მუნიციპალიტეტის ფერმის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტების შეხვედრაზე... ამრიგად, სოფელ ფერმის სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან გაიმართა ფართო დისკუსია თემაზე " ნაადრევი ქორწინება". მოწვეულმა სტუმრებმა დაწვრილებით ისაუბრეს იმ საკანონმდებლო ბაზაზე, რომელიც დღეს მოქმედებს საქართველოში ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილეს იმ ცვლილებებზეც, რომელიც განხორციელდა კანონმდებლობაში.

საყურადღებო და საინტერესო იყო შეხვედრაზე გამართული დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლის დირექტორი შახალ ისმაილოვი, დირექტორის მოადგილე თამარ ალიევი, მოსწავლეები: ელმირა ჟაჰანგირ ოღლი, სალმი საფაროვი, მადონა ზაჰირის ასული, გიორგი ბალხამიშვილი, ფატიმა ორუჯოვი და სხვები.

სპორტი

ეროვნული ფედერაციის ეგიდით

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო ოლიმპიადა, რომელიც მოიცავს შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეში გასული წლის ნოემბერში დაიწყო.

შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობენ 2001-2002 წლებში დაბადებული მოსწავლეები. ოლიმპიადა ტარდება საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდების სპორტის ეროვნული ფედერაციის ეგიდით...

საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა მოიცავს ხუთ ეტაპს: I. ეტაპი – ადგილობრივი მუნიციპალური თამაშები, II. ეტაპი – რეგიონალური თამაშები, III. ეტაპი – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური თამაშები, IV. ეტაპი – ოლიმპიადის დასკვნითი /ფინალური/ თამაშები, V. ეტაპი – საერთაშორისო თამაშები /სასკოლო მსოფლიო ჩემპიონები/. ჯერჯერობით ჩატარდა შეჯიბრებები სპორტის რამდენიმე სახეობაში და გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, რომელთა შორის არიან: 1. მინი-ფეხბურთი – კასპის №1 საჯარო სკოლა, 2. კალათბურთი /გოგონები/ – ახალქალაქის საჯარო სკოლა, 3. კალათბურთი /ვაჟები/ – კასპის №4 საჯარო სკოლა, 4. გეზრბენი /გოგონები/ – კასპის №3 საჯარო სკოლა, 5. გეზრბენი /ვაჟები/ – სამთავისის საჯარო სკოლა, 6. ფრენბურთი/

*გაგრძელება გვ7.

,,ხალხი განთიადი,, იძიებს ცვიმდერიდან ცოცხალებს რეალობის ცვგვზეთი ფოტო-მასალის შეცვლმნელად. თხოვნით მივმართავთ თანამედროვეებს - დასტოვეთ თქვენი ყვალი ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ცვიმდერიდან და ცხალიცი ფოტოები!

ჩვენი შესანიშნავი ტოპოცეული

კარგა ხანია, 2016 წლის სპორტული სეზონი გასრულდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლა გვეძლევა საშუალება, რაიონის სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგებისა და მიღწეული წარმატებების შეჯამებისა. მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი, თუ ვინ, სად და როგორ გაიხარჯა შარშანდელ სპორტულ სარბიელზე:

✦ ბეგლარაშვილი რობინზონი

1. ქ. თბილისი, 20-21 თებერვალი – საქართველოს პირველობა ძიუდოში (ახალგაზრდები), 60 კგ. – I ადგილი.

✦ ბერძენიშვილი ბექა

1. ქ. მინსკი (ბელარუსი) – 20-21 თებერვალი – საერთაშორისო ტურნირი სამბოში, მძიმე წონა – III ადგილი,

2. ქ. მოსკოვი (რუსეთი) – 26-27 მარტი – საერთაშორისო ტურნირი სამბოში, მძიმე წონა – I ადგილი,

3. ქ. ყაზანი (რუსეთი) – 14-15 მაისი – ევროპის ჩემპიონატი სამბოში, მძიმე წონა – I ადგილი,

4. ქ. ფოთი – 25-26 ივნისი – საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, მძიმე წონა – I ადგილი.

✦ ბუღულაშვილი ედი

1. ქ. სალონიკი (საბერძნეთი) – 9-10 აპრილი – საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში (ჭაბუკები), 85 კგ. – I ადგილი,

2. ქ. ამბროლაური – საერთაშორისო ტურნირი "რაჭის თასზე" თავისუფალ ჭიდაობაში (ჭაბუკები), 85 კგ. – I ადგილი,

3. ქ. თბილისი – ლერი ხაბელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი (ჭაბუკები), 85 კგ. – III ადგილი.

✦ გეჯაძე დავითი

1. ქ. თბილისი – 20-21 თებერვალი – საქართველოს პირველობა ჭიდაობა ძიუდოში (ახალგაზრდები), 56 კგ. – I ადგილი,

2. ქ. ათენი (საბერძნეთი) – 2-3 აპრილი – საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში (ახალგაზრდები), 55 კგ. – III ადგილი.

✦ გვიმრაძე ვასილი

1. ქ. ზუგდიდი – 10 აპრილი – საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში (ჭაბუკები), მძიმე წონა – II ადგილი,

2. ქ. თბილისი – 6 ოქტომბერი – საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში (ჭაბუკები), მძიმე წონა – III ადგილი,

3. ქ. ბაქო (აზერბაიჯანი) – 15-17 ნოემბერი – საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში (ჭაბუკები), +81 კგ. – I ადგილი.

✦ გოგიაშვილი ჯემალი

1. საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში – I ადგილი (28 წლის კასპელი ფეხბურთელი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ქ. სამტრედიის "სამტრედიის" გუნდის შემადგენლობაში (მცველის პოზიცია). აქამდე ითამაშა სხვა გუნდებშიც, საქართველოს პირველობაზე დებიუტი ჰქონდა 2010 წელს ქ. თბილისის "ვით-ჯორჯიას" შემადგენლობაში, სწორედ... სამტრედიის გუნდის წინააღმდეგ თამაშში).

✦ გუგულაშვილი გიორგი

1. ქ. თბილისი – 24 თებერვალი – საქართველოს პირველობა ჭიდაობა ძიუდოში, 66 კგ. – I ადგილი,

2. ქ. თბილისი – საქართველოს პირველობა ჭიდაობა ძიუდოში (ახალგაზრდები), 66 კგ. – III ადგილი.

✦ გუგულაშვილი რამაზი

1. ქ. ფოთი – 25-26 ივნისი – საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, 60 კგ. – II ადგილი.

✦ დალაქიშვილი დავითი

1. ქ. ვარშავა (პოლონეთი) – 1-3 აპრილი – მსოფლიო პირველობა კარატეში (22-35 წლიანთა შორის), 67 კგ. – III ადგილი,

2. ქ. ბათუმი – 11-13 ნოემბერი – ევროპის ჩემპიონატი შოტოკან-კარატეში (18-13 წლიანთა შორის), 75 კგ. – I ადგილი.

✦ კაციაშვილი გიორგი

1. ქ. სოფია (ბულგარეთი) – 30-31 იანვარი – ევროპის ღია პირველობა ჭიდაობა ძიუდოში, 73 კგ. – II ადგილი,

2. ქ. თბილისი – 20-21 თებერვალი – საქართველოს პირველობა ჭიდაობა ძიუდოში (ახალგაზრდები), 73 კგ. – I ადგილი,

3. ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი) – 25 მაისი – "გრანპრის" გათამაშება ჭიდაობა ძიუდოში, 73 კგ. – III ადგილი,

4. ქ. ალაგა (ესპანეთი) – 16-17 სექტემბერი – ევროპის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში (ახალგაზრდები) პირად და გუნდურ ჩათვლაში, 73 კგ, – შესაბამისად II და I ადგილი,

5. ქ. თბილისი – 21-23 ოქტომბერი – საქართველოს პირველობა ჭიდაობა ძიუდოში (ახალგაზრდები), 81 კგ. – I ადგილი,

6. ქ. თბილისი – 17 დეკემბერი – საქართველოს ღია აბსოლუტური ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში – I ადგილი (80 კგ.), I ადგილი (აბსოლუტური).

✦ მამულაშვილი კახა

1. ქ. მინსკი (ბელარუსი) – 20-21 თებერვალი – საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში, 74 კგ. – III ადგილი,

2. ქ. რიაზანი (რუსეთი) – 2-3 აპრილი – საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში, 74 კგ. – III ადგილი,

3. ქ. ფოთი – 25-26 ივნისი – საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, 74 კგ. – III ადგილი,

4. ქ. თბილისი – არჩილ ჩოხელის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში, 74 კგ. – I ადგილი.

✦ მანძულაშვილი ალექსანდრე

1. ქ. ბათუმი – 19-22 მაისი – მსოფლიო თასის გათამაშება კარატეში, 35-44 წლიანებს შორის (აბსოლუტური) – III ადგილი,

2. ქ. ბათუმი – 11-13 ნოემბერი – ევროპის პირველობა მასტერს-კუმიტეში, 35-40 წლიანებს შორის – I ადგილი.

✦ მარქარაშვილი დანიელი

1. ქ. ხარკოვი (უკრაინა) – 21-23 იანვარი – საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში (ახალგაზრდები), 63 კგ. – I ადგილი,

2. ქ. თბილისი – 24-26 მარტი – საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში (ჭაბუკები), 63 კგ. – I ადგილი.

✦ მჭედლიშვილი გიორგი

1. საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში – I ადგილი (29 წლის კასპელმა ფეხბურთელმა ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა ქ. სამტრედიის "სამტრედიის" გუნდის სახელით (მცველის პოზიცია). საქართველოს სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში ირიცხება 2010 წლიდან.

✦ ოდოშაშვილი ზვიადი

1. ქ. მინსკი (ბელარუსი) – 20-21 თებერვალი – საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში, 62 კგ. – III ადგილი,

2. ქ. ფოთი – 25-26 ივნისი – საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, 62 კგ. – I ადგილი,

3. ქ. თბილისი – არჩილ ჩოხელის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში, 62 კგ. – I ადგილი,

4. ქ. სოფია (ბულგარეთი) – 13 ნოემბერი – მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში, 62 კგ. – III ადგილი.

✦ პაპინაშვილი ამირანი

1. ქ. თბილისი – 25-27 მარტი – "გრანპრის" გათამაშება ჭიდაობა ძიუდოში, 60 კგ. – III ადგილი,

2. ქ. ყაზანი (რუსეთი) – 21-24 აპრილი – ევროპის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში, 60 კგ. – II ადგილი (გუნდური ჩათვლა),

3. ქ. აბუდაბი (არაბეთის გაერთიანებული საამიროები) – "გრანდ შლემის" გათამაშება ჭიდაობა ძიუდოში, 60 კგ. – I ადგილი,

4. ქ. რიო-დე-ჟანეირო (ბრაზილია) – 16-12 აგვისტო – ზაფხულის 31-ე ოლიმპიადა, 60 კგ. – V ადგილი.

✦ პაპინაშვილი ჯაბა

1. ქ. თბილისი – 27-28 თებერვალი – საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში (ჭაბუკები, ახალგაზრდები), 52 კგ. – I ადგილი,

2. ქ. საგარეჯო – საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, 55 კგ. – I ადგილი,

3. ქ. ტულუზა (საფრანგეთი) – 8-9 აპრილი – ევროპის პირველობა ჭიდაობა სამბოში (ჭაბუკები), 52 კგ. – I ადგილი,

4. ქ. პლოეშტა (რუმინეთი) – 8 ოქტომბერი – მსოფლიო პირველობა ჭიდაობა სამბოში (ჭაბუკები), 52 კგ. – I ადგილი.

✦ პატაშური ნინო

1. ქ. ბათუმი – 19-22 მაისი – მსოფლიო თასის გათამაშება კარატეში, 18 წლიანებს შორის, + 61 კგ. – III ადგილი,

2. ქ. ბათუმი – 11-13 ნოემბერი – ევროპის პირველობა კარატეში, "შობუ იპონი", 18 წლიანებში, 68 კგ. – I ადგილი.

✦ ყაზარაშვილი გიორგი

1. ქ. თბილისი – 5-7 თებერვალი – საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში (ახალგაზრდები), 60 კგ. – II ადგილი.

✦ ყაზარაშვილი ლია

1. 11-21. ნოემბერი – ქ. თბილისი – ევროპის პირველობა 64-უჯრედიან შაშში, შევიდა მონაწილეთა საუკეთესო ოცეულში. მიენიჭა 1950 სარეიტინგო ქულა. მსოფლიო შაშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ ლანგინისაგან, პერსონალური მიწვევა მიიღო მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობისათვის (გაიმართება ქ. სანკტ-პეტერბურგში (რუსეთი) 2017 წლის ოქტომბერში).

✦ პ.ს. 2016 წლის სპორტული სეზონის წარმატებული კასპელი სპორტსმენების ტოპოცეულში შესულთა სია მოცემული ანბანური წყობით. ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის მოსაწოდებლად ან დასაზუსტებლად დაგვიკავშირდით.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

მეგობრებო, მიგვაწოდეთ თქვენი შვილებისა, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

***დასასრული**

ეროვნული ფედერაციის ეგიდით

გოგონები/ – სასირეთის საჯარო სკოლა, 7. ფრენბურთი / ვაჟები/ – სამთავისის საჯარო სკოლა.

სასკოლო ოლიმპიადა გრძელდება... გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონულ პირველობაზე მიმდინარე წლის მარტიდან. ადგილობრივი მუნიციპალური თამაშების ორგანიზებას ახორციელებენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (უფროსი თეა ხორბალაძე), მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება (დირექტორი შოთა გოგიაშვილი) და კასპის №44-ე კომპლექსური სასპორტო სკოლა (დირექტორი ჯუმბერ სიდამონიძე).

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

დეპრესია

დეპრესია (ლათ. დათრგუნული) საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა. ზოგი ადამიანი მძიმე, ქრონიკული დეპრესიით იტანჯება, ზოგს კი უმნიშვნელო დეპრესიული რეაქციები ახასიათებს, რაც ცხოვრებისეული სტრესითაა გამოწვეული. იგი შეიძლება განვითარდეს სულიერი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმის შედეგად. დეპრესია მოსდევს მუდმივ სტრესს, დაძაბულობას. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მკაფიოდ გამოხატული მიზეზი არ არსებობს.

დეპრესიის გამოვლინებაა: უგუნებობა, ხასიათის რადიკალური ცვლილება, გაღიზიანება, გულგრილობა, შფოთვა, ნაღველი. დეპრესიაში მყოფი ადამიანი ცხოვრებას შავ-თეთრ ფერებში აღიქვამს, სრულ აპათიაშია. ახასიათებს უძილობა, ან ძილიანობა, კარგავს ენერგიას, აქვს მუდმივად დაღლილობის შეგრძნება, აწუხებს აკვიატებული ფიქრები, ვერ ახერხებს თავისი აზრების კონტროლს, ყურადღების მობილიზებას, ნანახის აღქმას და წაკითხულის გააზრებას. ამ დროს ადამიანი თავის თავში ეძებს გამოსავალს, მაგრამ ვერ პოულობს. აქვს არასრულფასოვნების და დანაშაულის განცდა. კარგავს ადეკვატურად თვითშეფასების უნარს, ახდენს საკუთარი თავის საზოგადოებისგან თვითიზოლაციას. ბოლოს ამას ემატება ნერვიულობა საკუთარი ჯანმრთელობის გამო, რადგან ხანგრძლივი დეპრესია ადამიანს გარეგნულადაც აზარალებს.

დეპრესია - ეს ისეთი დაავადებაა, რომელსაც ასაკი არა აქვს. იგი შეიძლება დაემართოს დიდსაც და პატარასაც, მაგრამ ყველაზე ხშირად, დეპრესია ემართებათ 30-დან 50- წლამდე ასაკის ადამიანებს. სტატისტიკის მიხედვით, რომელიც ამერიკაში ჩატარდა, ყოველი მეოთხე ქალი და მეცხრე მამაკაცი დეპრესიაში ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვარდება, მაგრამ არსებობს ასევე ქრონიკული დეპრესია, რომელიც ხანგრძლივად მიმდინარეობს. დეპრესიული სინდრომი სხვადასხვა სფეროში ვლინდება.

ფსიქიკური სიმპტომებია: დათრგუნვა, აზროვნების შენელება, შინაგანი ღელვა, შიში, სევდიანი აზრები, გრძნობების დაკარგვა, შინაგანი სიცარიელე. ფსიქომოტორული სიმპტომებია: შებოჭილობა, ემოციების გამოხატვის დაქვეითება ან, პირიქით, ღელვა, მოუსვენრობა.

ფსიქოსომატური ნიშნებია: სასიცოცხლო გრძნობების დარღვევა (ფიზიკური სისუსტე, მხნეობის არარსებობა). მსუბუქი ვეგეტატიური დარღვევებია: თავბრუსხვევა, გულის რიტმის არათანაბრობა, პირის სიმშრალე, ყაბზობა, სუნთქვის მოშლა.

მძიმე ვეგეტატიური მახასიათებლებია: ძილის რეჟიმის დარღვევა, ტკივილის, მოჭერის, სიცივის შეგრძნება, მადისა და წონის დაქვეითება, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, იმპოტენცია.

დეპრესიას სამკურნალო პრეპარატების დიდი ნაწილიც იწვევს. ესენია: სტეროიდები, აქტიური ანტიდეპრესანტები, ნარკოტიკული პრეპარატები, კრუნჩხვის საწინააღმდეგო საშუალებები, ჰორმონული პრეპარატები, ანტიჰისტამინური და ზოგიერთი სხვა დასამშვიდებელი საშუალებები. თუ ახალი წამლის მიღებისას ხასიათის ცვლილება აღმოაჩინეთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

როგორ დავძლიოთ დეპრესია? იტირეთ - ეს უარყოფითი ემოციებისგან გაგათავისუფლებთ. გული გადაუშალეთ მეგობარს. ოღონდ იცოდეთ, რომ ჭკვიანური რჩევა-დარიგება არაფერში გჭირდებათ. ერთადერთი, რაც თქვენს დამძიმებულ გულს მალამოდ მოედება, თანაგრძნობაა. რაც შეიძლება ბევრი იარეთ სუფთა ჰაერზე. გაისეირნეთ ბუნების წიაღში, შინ დაბრუნებულმა კი შხაპი მიიღეთ და საწოლს მიაშურეთ. ხელი მოჰკიდეთ სპორტს. ბანალურია, მაგრამ უდავო: როცა კუნთები მუშაობენ, ტვინი ისვენებს. დასვენებული გონება კი კრიზისს ახლოსაც არ გაიკარებს. შეიცვალეთ გარემო. ამისათვის სულაც არაა აუცილებელი მაიამიზე გამგზავრება. საკმარისია, მეგობრებთან ერთად აგარაკზე გაატაროთ უქმეები. არსებობს კიდევ ერთი უტყუარი ხერხი - საყიდლებზე სიარული. შეიძინეთ ნივთი, რომელსაც დიდი ხანია, თვალი დაადგით. არა აქვს მნიშვნელობა გამოსადეგია თუ არა იგი. ნურც ფული დაგენანებათ. საყიდლები კრიზისს კუდით ქვას ასროლინებს.

- ისწავლეთ ნეგატიური აზრების გადართვა ისე, როგორც შუქის ჩამრთველს იყენებთ.

- გაიკეთეთ „ვარდისფერი“ სათვალე. ადამიანი, რომელიც სამყაროს „ვარდისფერი“ სათვალით უყურებს, უფრო ჯანმრთელი, ბედნიერი და წარმატებულია, ვიდრე რეალისტი. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ გამოუსწორებელი ოპტიმისტები უკეთ მუშაობენ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ და მეტად უნაზღაურდებათ შრომა. რეალისტებს კი ხშირად ემართებათ დეპრესია.

- „გაიკეთეთ“ ბედნიერი სახე. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სახის გამომეტყველების შეცვლით ახალი ემოციების გამოწვევა შეიძლება. მაშ ასე, თუ გული გტკივათ, გაიღიმეთ თქვენი გულიც თქვენთან ერთად „გაიღიმებს“.

- დაივიწყეთ შოკოლადი. საკვებ რაციონში შემავალი შაქრის დიდი რაოდენობა ასევე ამცირებს სიცოცხლის ტონუსს. ზედმეტი შაქარი ხელს უწყობს ინსულინის რაოდენობის გაზრდას, ეს გამოიხატება სისხლში შაქრის დაბალი შემცველობით. ამ მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, ნევროზი და სისუსტე.

იმის ნაცვლად, რომ შაქარყინული და ტკბილეული მიირთვათ, გაზარდეთ ნახშირწყლების (პარკოსნები, ბოსტნეული) და პროტეინების (ფრინველის ხორცი, თევზი და რძის პროდუქტები) რაოდენობა.

- მიირთვით ფაფა. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ 1 ვიტამინის ნაკლებობა კიდევ უფრო გაგაღიზიანებთ და გააძლიერებს თქვენს დეპრესიას.

მაშ ასე, მიირთვით მარცვლოვნების ფაფა (თიამინის 1 ვიტამინის რაოდენობის გასაზრდელად) ბანანთან ერთად (6 ვიტამინი) და დააყოლეთ ფორთოხლის წვენი (რკინა) - და, რა თქმა უნდა, ეწვიეთ სილამაზის სალონს. გვერწმუნეთ იქედან გახალისებული, გალამაზებული და ბედნიერი გამოხვალთ.

მაგრამ როდესაც ძალიან ხართ შეპყრობილი დეპრესიით და საკუთარი ძალით ვერ უმკლავდებით მას, აუცილებელია მედიკამენტური ჩარევა. ამისთვის კი ფსიქოთერაპევტს, ან ფსიქიატრს უნდა მიმართოთ. გული არ გაიტეხოთ. იგი ადვილად განკურნებადია. პაციენტების 95 % სრულად იკურნება. ამიტომ მთავარია მოინდომოთ. იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით. იკვებეთ სწორად, მისდიეთ სპორტს, აკეთეთ საყვარელი საქმე და, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება.

ანამნეზიალური სამყარო არსებობს?!

***დასასრული. დასაწ.გვ4**

შიპუნოვის თქმით, ადამიანის ტალღური არსი სწორედ ისაა, რასაც ჩვენ სულს ვეძახით. გამოკვლევებმა ძალზედ უჩვეულო რამ აჩვენეს: ზოგ ადამიანს თავის გარშემო ტალღური ველი საერთოდ არა აქვს (ანუ ეზოთერულად – აურა), მის გარშემო თითქოს ვაკუუმია, რომელშიც კვანტური მექანიკის ენაზე რომ ვთქვათ, უამრავი უარყოფითი ნიშნის მქონე ელექტრომაგნიტური "მატრიცაა" "ჩაბუდებული". ისინი ფაქტობრივად ამ ადამიანს მართავენ.

ამ მოვლენას ეკლესია დემონური ძალების – ეშმაკების ადამიანში ჩასახლებას უწოდებს. მეცნიერთა თქმით, "ახლა ამას ხელსაწყოები აღბეჭდავენ და ეს მართლაც საშინელებაა".

ექსპერიმენტებმა დაადასტურეს, რომ კოსმოსიდან ენერგიის ერთ-ერთ უდიდეს მიმღებს ეკლესიათა გუმბათების ჯვარი წარმოადგენს, იგი შემდეგ ამ ენერგიას დედამიწის ზედაპირს დაასხივებს. ჯვრის ვერტიკალური ნაწილი მიმღებია, ჰორიზონტალური კი ჩვენზე გადამცემი. აღდგომის დღესასწაულის დროს მეცნიერებმა ელოხოვსკის ეკლესიის გუმბათის ჯვარი გამოიკვლიეს და გაოცებულები დარჩნენ – ჯვრის თითოეული კვადრატული სანტიმეტრიდან წამში უზარმაზარი, რამდენიმე კილოვატი სიმძლავრის ენერგია გამოსხივდებოდა. და, რაც მთავარია, ეს იყო მკურნავი, ჩვენთვის ასე აუცილებელი სასიცოცხლო ენერგია.

მეცნიერ შიპუნოვის ცდებით დადასტურდა, რომ ამგვარი ენერგიის გამოსხივების მხრივ, მეორე ადგილზე საეკლესიო ზარი დგას. საყოველთაოდ ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო სიწმინდეებს ერთდროულად ეამბორებიან როგორც ჯანმრთელი, ასევე ინფექციური ავადმყოფები, ეპიდემიები ეკლესიიდან არასოდეს გავრცელებულა. ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ ზარის რეკვის დროს გარკვეული ულტრაბგერითი დიაპაზონის ტალღები, ანადგურებენ ყველა სახის ვირუსსა და ინფექციებს. ამასთან, როგორც აღმოჩნდა, თითოეულ ვირუსს სხვადასხვა დიაპაზონის ტალღა ანადგურებს. ჩანს, ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა. ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ ძველად ეპიდემიების დროს საეკლესიო ზარებს საგანგებოდ, გამუდმებით რეკდნენ. ამის მიზანი "დაავადებული" სივრცის განწმენდა იყო. თანაც ყოველი ავადმყოფობის დროს ზარი სულ სხვადასხვანაირად ირეკებოდა.

საოცარია, მაგრამ სამეცნიერო ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ნებისმიერი არამოქმედი, მხოლოდ ნანგრევების გროვად დარჩენილი ძველი ტაძრების ადგილზე ღვთისმსახურებს ინსულინის რაოდენობის გაზრდას, ეს გამოიხატება სისხლში შაქრის დაბალი შემცველობით. ამ მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, ნევროზი და სისუსტე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი მასალა სხვადასხვა გამოცემებიდანაა მოპოვებული, თუ თქვენთვის ხელმისაწვდომია უფრო ახალი ინფორმაცია, გამოგვეხმაურეთ.

ვეძებთ საინტერესო ავტორებს

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით საუკეთესო სტუმარი.

ოუბრიკა – წელიწადის მეხუთე დრო ელოდება თქვენს ეამოხმაურებას. მოძებრძანდით ორდაკციაში, ეაეგეაცანით თქვენი ნაამუძეგოები (წაიმოადეინეთ ელექტრონული ვერსია) და ეაეაცანით იხინი ხაზოეადოებას.

“ვალენტინის ჭიშკარი“

ვინ იღებს ყველაზე მეტ მილოცვას?!

ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში, რომის იმპერატორმა კლაუდიუს მეორემ ბრძანება გამოსცა. დიდი ამბავი, იმპერატორიც იმისთვისაა, ბრძანებები გამოსცესო, იტყვით თქვენ და მართალიც იქნებით. მაგრამ... იმპერატორი იმისთვისაცაა, რომ სანამ ბრძანებას გამოსცემს და თავის სურვილს ქვეყანას წესად უქცევს, დაფიქრდეს — სისულელეს ხომ არ ჩავდივარო. ზემოთ ხსენებულმა იმპერატორმა კლაუდიუს მეორემ, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ უგუნურის დაკანონება ისურვა, მან ქორწინების ამკრძალავი ბრძანება გამოსცა.

მებრძოლი ქვეყნის — მებრძოლი იმპერატორი ბრძანებას შემდეგნაირად ასაბუთებდა — ოჯახი თავისუფლებას ართმევს მამაკაცს და სახლში აბამს, ოჯახი ხელს უშლით მამაკაცებს საკუთარი სიმამაცე ბრძოლის ველზე გამოიყენონ და ა.შ. (მოგეხსენებათ იმპერატორთა ლოგიკის “შეუვალობისა“). ხუმრობა იქით იყოს და ეტყობა ყველა დროს თავისი ახირება “ამშვენებს“.

მთელს იმპერიაში, ერთადერთი ღვთის მსახური — მღვდელი ვალენტინი საიდუმლოდ ჯვარს წერდა შეყვარებულებს. ერთი სიტყვით, მთელს ქვეყანაში ერთი ვაჟკაცი მამაკაცი აღმოჩნდა. მაგრამ, მოგეხსენებათ არაფერია მარადიული ცის ქვეშეთში და “ანტისახელმწიფოებრივი ჯვრისწერების“ ამბავი გამჟღავნდა.

მღვდელი ვალენტინი ციხეში ჩასვეს, რა თქმა უნდა, დასასჯელად. ტუსაღ მღვდელს ციხის დარაჯის ახალგაზრდა ქალიშვილი შეუყვარდა (ღმერთი არც ციხეში ტოვებს რჩეულთ!). სიკვდილით დასჯის დღეს 270 წლის 14 თებერვალს მღვდელმა ბოლო წერილი გაუგზავნა სატრფოს ხელმოწერით “ვალენტინისაგან“.

წმინდა ვალენტინი რომში წმინდა პრასკიდისის სახელობის ეკლესიაში დაკრძალეს. მას შემდეგ ეკლესიის კარებს “ვალენტინის ჭიშკარი“ შეარქვეს. თუ ლეგენდას დავუჯერებთ გაზაფხულობით ვალენტინის საფლავზე ყვავის ნუშის ხე — რომელიც საუკუნეების მანძილზე სიყვარულის სიმბოლოდ იქცა. ყველაზე მეტად სიყვარულის დღე ინგლისელებმა შეიყვარეს, მას თავისი სიმბოლიკა და საიდუმლო შემატეს. კერძოდ წმინდა ვალენტინის დღეს ვაჟი იწერს სამკლაურზე ქალიშვილის სახელს, რითაც დიდი ახსნა-განმარტების გარეშე “ეუბნება“ გულისსწორს, რომ უყვარს და ულოცავს სიყვარულის დღეს! (თანამედროვე ინგლისში ეს ისევ მამაკაცის პრეროგატივაა).

სწორედ, რომ უგულობა იქნებოდა სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ფრანგთა “გარჯა“ დაგვიწყებოდა. დღესასწაულის სიმბოლოდ მათ წითელი ვარდი დააკანონეს, მას შემდეგ რაც ბრწყინვალე ლუდოვიკო მეთექვსმეტემ წითელი ვარდების თაიგული მიართვა მარია ანტუანეტს.

სიყვარულის დღის აღსანიშნავად, ერთმა ინგლისელმა არისტოკრატმა სატრფოს მიართვა ბრილიანტებით გაწყობილი სპილოს ძვლის ჩუქურთმებიანი გარნიტური. საჩუქარი 520 ათას ფუნტ სტერლინგად არის შეფასებული და ჯერჯერობით ყველაზე ძვირფას საჩუქრადაა აღნუსხული.

სხვათა შორის, როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა 14 თებერვალს ყველაზე მეტ მილოცვას იღებენ მასწავლებლები მოსწავლეებისაგან, ბავშვები უფროსებისაგან, რა თქმა უნდა, დედები, ცოლები და მხოლოდ ყველა ამათ შემდეგ სატრფოები.

დღესასწაული კი დააწესეს, მაგრამ, ღვთისმადლით, ჯერ არ გამოჭრილა თარგი და არავის დაუდგენია კონკრეტულად რა ტექსტით უნდა მიმართოთ თქვენს რჩეულს მილოცვის დროს. ეს თქვენს გამჭრიახობასა და შემოქმედებით მონაცემებზეა დამოკიდებული.

ჩვენ კი შეგვიძლია ერთი გირჩიოთ მოიკრიბეთ ძალა და თვალებში ჩახედეთ რჩეულს, თუ პასუხად ღუმელის კვამლით შეჭვარტლული სახე ინდიფერენტულად უგულებელყოფს თქვენს “საზეიმო შემოხედვას“ ნუ დაღონდებით, ნუ იქნებით ტრივიალური და ინგლისურად სიყვარულის ახსნა არც გაიფიქროთ.

ნეპალელი ვაჟი ასე ეტყოდა თავის რჩეულს: “მა ტიმი სიტა პრემ გაჩხუ“; პორტუგალიელი კი: “ეუ ტე ამო“; იაპონელი: “კიმი ო აი შიტერუ“; პაკისტანელი: “მუდჟხე ტამსე მახაბბატ ხაი“; ბერძენი კი ერთ სიტყვაში ჩატევდა სათქმელს “საგაპო“...

თუმცა, მსოფლიოზე ვინ ფიქრობს მაშინ, როცა მზე ერთ ფანჯარაში ამოდის და ჩადის, როცა ყველა დანარჩენი უმნიშვნელოა ერთი დარდის გარდა, როცა ხედავ და გენატრება, როცა მარტო იმითაც ბედნიერი ხარ თუ ეტყვი რომ გიყვარს, როცა ტელეფონის ზარი აღდგომის გუგუნივით სინათლით გავსებს, როცა სარკეში შენ იხედები და მას ხედავ, როცა დღე იმიტომ თენდება, რომ მასთან იყო, როცა მზად ხარ სამყაროს გადაუდგე, ოღონდ ის იყოს შენთან...

იმედია, წლევანდელი ვალენტინო ყველაზე სასურველი იქნება თქვენთვის.

ბლიც-ინტერვიუ

”კასპელების რძალი”

სერიალში “ჩემი ცოლის დაქალები” კასპელების რძალი მთვარისა - ლუნა მაზიაშვილი არ დაიჯერებთ და ჩვენს ქალაქში გაზრდილი ქეთი ხუციშვილი აღმოჩნდა. მისი გმირი ალბათ, მრავალ საინტერესო ეპიზოდს შესთავაზებს მაყურებელს. მანამდე კი გთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს.

- როგორ მოხვდით სერიალში?

- ჩემი ცოლის დაქალების სცენარისტმა ნახა ჩემი სახუმარო ვიდეოები, რომლებსაც ჩემ დასთან ერთად ვწერდი, დაინტერესდა და დამიბარეს კასტინგზე. იმის მერე დავრჩი და დავრჩი.

- რა კავშირი გაქვთ კასპთან?

- კასპთან მაკავშირებს უბედნიერესი ბავშვობა და კარგი მოგონებები.

დაწყებით კლასებში ვსწავლობდი კასპის მე-2 საშუალო სკოლაში. დედაც იქვე ასწავლიდა ფრანგულ ენასა და სიმღერას. ალბათ, ახსოვთ კიდეც სოფიკო ბაკიძე. მამა ნოსტის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე იყო.

ბებია - ქეთო ბაკიძე წლების განმავლობაში საყოფაცხოვრებო სახლში მუშაობდა მანიკიურის სპეციალისტად. ბებია იყო ძალიან კარგი ადამიანი და ყველას უყვარდა. პაპა - გიორგი ბაკიძე კასპის კულტურის სახლის მხატვარი იყო. ლენინის ქუჩაზე ვცხოვრობდით პოლიკლინიკის თავზე.

მართალია, ეს ყველაფერი შორეულ ბავშვობაში იყო და ბევრი რამე ამოვარდნილი მაქვს მეხსიერებიდან, მაგრამ რაც მახსოვს, ყველაფერი ტკბილად.

- რა დამოკიდებულება გაქვთ თქვენი კინო-გმირის პროტოტიპ ქალბატონებთან?

- ბევრნაირ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, ვცდილობ ყველასთან კარგი დამოკიდებულება მქონდეს. მართალია ჩემს გმირთან არანაირი საერთო არ მაქვს მაგრამ მისიც მესმის.

- როგორი ხასიათის ფილმში გინდათ გადაღება?

- ჩემს თავს უფრო დრამაში ვხედავ.

- თუ გაქვთ საოცნებო როლი?

- საოცნებო როლი არ მაქვს, მაგრამ ფლამენკოს მომღერალი ქალის როლს შევასრულებდი დიდი სიამოვნებით.

ფოტო-მსტივნე

,,ახალი გზნიავლი,, იძიებს ცალიერიდან ფოტო-მსტივნის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დასტოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მსტივნეში! გამოგვიგზავნეთ ცალიერიდან და ცალიანი ფოტოები!

გამოგვიხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება ყვავილა თუ ყირძლა ყოლაც ვაძლევთ შეცვლილებლობას გზებიან ცვშულებით თვრთა მეთხვეულა გვაცნობ ცვყოთვრი ყოლიან ინტორიალ ან ვწყო.

2016-2017 ცვნწავლო წლიან განმავლობაში შეცვლილებლობა გაკეთ გზებიში გამოაკვეყნეთ მშობლიური ყოლიან მიმწვეები. გზებიან ფურცლებიან მეშვეობით ცვჯვრი გვნოთ ოჯვები ჭრობლემები, ლაცვნთ ყოლიან ცვცხურვილი ცვმომავლო გეგმები. ყვილაც გვაცნით ოვაწლომოცილი. ვცვლგზრლა თუ ვცვლბილა ჭილაგეგები. გვიამბეთ ცვლ ან როგორ ცწავლობთ. რითი ვმაყობთ. რა გცურთ...

გვაცვნით თანვრიალებილებს თეკვები ყურცლამთავრებული მეცნიერები. რომლებიც ვრ ივიწყებენ ვლომვმაც�რს.

ცხოვრებიან ცვყეთილთ ლა უმეშვენიერეს წლებს ვაცვრებთ ყოლაში ლა გვინლა. რომ იჭ გაცვრებული წლები იყოს მნიშვნელოვანი. წარმაცებული. ლაუვიწყვრი.

გამოგვიხმაურეთ!

მილოცვა

ჩვენს საყვარელ, დაუღალავ პედაგოგს, ქალბატონ მანანა ყაბანაძეს ვულოცავთ 70 ნლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიკეთეს.

კასპის №1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

განცხადება

2017 წლის 16 თებერვალს, 13.00 საათზე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის. მერაბ კოსტავას №18, 2600, ქ. კასპი) გაიმართება შპს "ბუგატო ენერჯი"-ს პროექტის მეტეხი-1 ჰიდროელექტროსადგურის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ მისამართებზე:

კასპის მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში,მის. მერაბ კოსტავას №18, 2600, ქ. კასპი, ტელ.: +0371-22-24-48).

კომპანიის ოფისში (მის. საქართველო, ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №3, ბ. 9).

დაგეგმილი საქმიანობის შესახებ საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2016 წლის 27 დეკემბრის ნომერში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: ლუკა ლებანიძე (+995599473049, ელ.ფოსტა: Lk.Lebanidze@gmail.com).

,,ახალი განთიადი,, იძიებს ცვინდერიცლი ყურადღებებს რეიონის ცვგვზეთი ფოდო-მეფიანის შეცვჭმნილოვლ. თხოვნით მივმართავთ თანვრიალებილებს - ლაფოვეთ თჭვენი ყვალი ჩვენს მეფიანეში! გამოგვიგზავნეთ ცვინდერიცლი ლა ცვხალილი ფოდოები!

ცვინდერიცლი თემებზე

გასული ნლიდან მოყოლებული სულ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სნორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურლიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო მეტი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, მეტ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

გაზეთი ახალი განთიადი იუნყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი გინეკოლოგი
შოთა ნაცვლიშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

მადლობა

ამას ყველაზე არ ამბობენ...

წლებია, რაც მიხდება მიკროავტობუსით მგზავრობა რაიონის მასშტაბით ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის გამო, აღფრთოვანებას და გაოცებას ვერ ვმალავ კავთისხევის მარშრუტზე მომუშავე მძღოლის გოჩა მიგრიაულის მიმართ, რაც მის მგზავრების მომსახურებაში დავინახე, ყველას თავაზიანად, კულტურულად, თბილად ემსახურებოდა. ეს ყველას არ გამოსდის, თუ არა აქვს შინაგანი კულტურა და ადამიანური სითბო. ამ ადამიანს წარმოიდგინეთ, რომ კავთისხევის თვალს ეძახიან.

დიდი მადლობა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

მგზავრების სახელით ბელა კობიაშვილი.

გამოსათხოვარი

ნელი გერმისაშვილი

რა მკაცრი, ულმობელი ყოფილა წუთისოფელი... 29 დეკემბერს ქვემო გომის სასოფლო კლუბის გამგე ნელი გერმისაშვილი საახალწლო ღონისძიებას ამზადებდა, ჩვეულებისამებრ, დილაადრიან მივიდა სამსახურში, მოულოდნელად შეუძლოდ გახდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა ასეთ დასასრულს... გვიან, საღამოს ჩამოჰკრეს გლოვის ზარებმა, მისმა ლამაზმა სულმა სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა.

ჩვენს ერთგულ მეგობარსა და მოსიყვარულე ადამიანს ნელი გერმისაშვილს უღალატა იმ გულმა, რომელსაც არასოდეს არავისთვის უღალატია. უღვთო განაჩენი გამოუტანა მას ბედისწერამ, ნაადრევად დატოვა საყვარელი ოჯახი, საქმე, დღე-დღეზე ელოდებოდა ნანატრ, პირველ შვილიშვილს, რომელიც მისი გარდაცვალებიდან მესამე დღეს მოევლინა ამ ქვეყანას.

ნელი გერმისაშვილს იცნობდნენ როგორც კულტურის საუკეთესო და სამაგალითო მუშაკს. მისი ნათელი სახე მუდამ სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდა. ვიცით, ძალიან დაგვაკლდება ყველას, უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სული.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ხსოვნა

რაისა კაპანაძე

თითქმის საუკუნეს მიაღწიე... 90-ჯერ იხილე ფოთოლცვენა, ამდენჯერვე გაუძელი ზამთრის სუსხსა და სიცივეს, 90-ჯერ შეიგრძენი გაზაფხულის ყვავილების ნელსურნელება... ზაფხულის ხვატი და სიხალისეც ამდენჯერვე გამოიარე...

ჟამთასვლა დიდ კიბეს ჰგავდა, შენც ნელ-ნელა მიუყვებოდი წუთისოფლის აღმართებს, ისე იკაფავდი გზას, წუთითაც არ შეყოვნებულხარ... წუთითაც არ შეგისვენია, წუთითაც კი არ გიცხოვრია საკუთარი თავისთვის... განგებამ შენი სახით საოცარი კონტრასტი შექმნა... პატარა სხეულში დიდი სამყარო, გამოულევი ენერგია, უშრეტი სიბრძნე, ამოუწურავი სიკეთე... კერკეტი კაკალივით გაუტეხელი... ბრძოლისა და ქარტეხილებისათვის დაბადებული... საიდან იწყებოდა და სად იღებდა სათავეს ის შესაძლებლობები, შენში რომ იმალებოდა, ადამიანი - გამოცანა, ადამიანი - მატიანე!.. სიტყვები, რომლებიც ბოლომდე ვერ იტევს იმ საიდუმლოს, შენში რომ იდო... ის ადამიანი ხარ, სიტყვებსაც რომ არ ძალუძს ამოგხსნას და გაგშიფროს... ბოლომდე ამოუცნობი, ბოლომდე მარტოსული... ადამიანი, რომელიც არასოდეს მარცხდებოდა ცხოვრებასთან ჭიდილში... ადამიანი, რომელმაც წაშალა დროის საზღვრები, გადაშალა და გააქრო სიკვდილის ლანდები... ადამიანი, რომელიც თითქოს არასოდეს დამთავრდებოდა... რომელიც ათეული წლების განმავლობაში უნაწილებდა თაობებს თავის სიბრძნესა და გამოცდილებას... რომლის ერთი სიტყვაც კი ქუხილივით ჟღერდა... რომლის ქართული იყო თავანკარა, ძარღვიანი დედაენის გამოძახილი... შენ მასწავლე, რომ დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან, ხოდა, ამ შესანიშნავ სიტყვებს ახლა შენ მოგიძღვნი... შენი სისხლი ვარ, შენი ნაწილი... ბევრი გაეცი, მცირე მივიღე... არა მარტო ჩემთვის... შენ თაობების აღმზრდელიც იყავი... ჩემი ბოლო ზრუნვა შენთვის ესაა, ვიცი უზომოდ გაგახარებდა ამ სიტყვების მოსმენა, მაგრამ სიცოცხლეში ხომ ვერასოდეს ვახერხებთ ადამიანები ერთმანეთს სიყვარული დავანახოთ... შენ კი ისე გაქრი... ტკბილი გარდაცვალებით... წამიერი გარინდებით მარადისობაში... ვიცი, რომ შენი გაცემული სიკეთე გაგინათებს გზას სასუფევლისაკენ. მე კი იმასღა გეტყვი, ჩემო სისხლო და ხორცო, მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენთვის...

ეთერ კაპანაძე,
ძმისშვილი.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი საკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76